პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 10 მარტი, 1942 წ. № 58 (6374). ფასი 15 კაპ.

უფრო სწრაფად აღვადგინოთ სამხედრო ტექნიკა

ხამ თვეზე მეტია, რაც წითელი არმია წარმატებით შეტევას ეწევა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში ჩვენი ჯარები იწრთობიან, სამხედრო მხრივ გაწრთვნილი ადამიანებითა და ახალი ტექნიკით ივსებიან, ...

შეგვიძლია დავასახელოთ ენტუზიასტები, რომლებსაც ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო ტექნიკის რემონტს, და რომელნიც განსაკუთრებული ენერგიით მუშაობენ მისი აღდგენისათვის. სატანკო მოტორების მოტორისტ-გამომცდელმა ამხ. ...

... ჯავშნიანი მანქანა ფაშისტ ოკუპანტების წინააღმდეგ. ხოლო თუ ტანკი დაზიანდა, აუცილებელია უმოკლეს ვადაში დავუბრუნოთ მას სიცოცხლე და კვლავ გამოვიყენოთ ჰიტლერელ ბარბაროსთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვითარება მოითხოვს გავაძლიეროთ ყურადღება სამხედრო ტექნიკის რემონტისა და აღდგენისადმი. ეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელდახელო რემონტის, მოძრავი სარემონტო - აღდგენითი სახელოსნოებისა და ბაზების მუშაკებს. საქმე ეხება არა მარტო რემონტის დაჩქარებას, არამედ მისი ხარისხის გაუმჯობესებასაც. ბოლო უნდა მოვუღოთ იმ მანქანების დეტალთა დატაცებას, რომლებიც რემონტს საჭიროებენ, და დაუყოვნებლივ უნდა გავიტანოთ ტანკები და ქვემეხები ბრძოლის ველიდან სარემონტო-აღდგენითს ბაზებში.

ომის განმავლობაში ამ ბაზების მუშაკებმა დიდი გამოცდილება დააგროვეს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს უმოკლეს ვადებში აღადგინონ საბრძოლო ტექნიკა. ცოტანი როდი ...

... ნაღმებს, გრანატებს, ავიაბომბებს და სხვა საჭურველს უშვებს. თუ ქარხანამ, რომელიც მშვიდობიან დროს ტრაქტორების რემონტს ეწეოდა, ავიაბომბების წარმოება აითვისა, რატომ არ უნდა მოაწყოს მან ავტომანქანებისა და საწევრების რემონტი და აღდგენა? თუ ავეჯის ფაბრიკამ ნაღმების წარმოება მოაგვარა, რატომ არ უნდა აითვისოს მან იარაღის რემონტი?

ტანკების, ქვემეხების, ტყვიამფრქვევების, ავტომატების, შაშხანების აღდგენა ბევრად არის დამოკიდებული სამარაგო დეტალების, სამარაგო ნაწილების არსებობაზე. ისინი უნდა შოვლებისათვის ... ჩვენმა ფაბრიკებმა და ქარხნებმა, რომლებსაც საჭურვლისა და საომარი მასალების გამოშვებასთან ერთად, შეუძლიათ სამარაგო ნაწილებისა და დეტალების წარმოებაც მოაწყონ.

არც ერთი უმოქმედო საბრძოლო მანქანა! მთელი სამხედრო ტექნიკა — ფრონტის სამსახურში!

„პრავდის“ მოწინავე, 9/III.

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე

... — ახლა, — ამბობს ამხ. ნიკოლაევა, — უდიდესი ძალით იჩინა თავი საბჭოთა ქალის ნიჭმა, სიმტკიცემ და ტალანტმა, იმ ქალისა, რომელმაც სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლის შესანიშნავი გზა განვლო, რომელიც მთელ ხალხთან ერთად ქმნიდა სოციალისტურ წყობილებას, სადაც ქალი ყოველგვარი უფლებით, სოციალისტური ... სარგებლობს. ... და ახლაც სამშობლოსთვის უდიდესი ... ჩვენი ქალები მთელ თავის ძალებს, მთელ თავის ნიჭს ფრონტსა და წითელ არმიას ახმარებენ.

... საზეიმო სხდომამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინის სახელზე.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის არტისტულმა საუკეთესო ძალებმა. (საქინფორმი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 მარტის დილის ცნობა

8 მარტის ღამის განმავლობაში ფრონტის მთელ რიგ უბნებზე საბჭოთა ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც ლენინგრადის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოქმედებენ, სამი დღის ბრძოლებში მოსპეს მტრის 2500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. არტილერიამ და მზვერავმა ჯგუფებმა დაანგრიეს გერმანელთა 6 მიწური სიცეცხლე წერტი, 20-ზე მეტი ბლინდაჟი და მიწური.

* * *

... ან ზურგის ნაწილებში რიცხავდნენ. ...

გერმანელ ჯარისკაცს გერმან ნივენერს აღმოაჩნდა ძმისათვის გასაგზავნი წერილი. გერმანი სწერს: „ჩვენი ასეული სრულიად მოსპობილია. 27 უნტერ-ოფიცრიდან 25 მოკლულია, ხოლო 2 დაჭრილი“.

* * *

რუმინელ სამთო მსროლელთა მე-11 ბატალიონის ტყვე ჯარისკაცმა პირვუ დიმიტრუმ განაცხადა: „რუმინეთის ჯარში 11 იანვარს გამოწვევის ამ დღეს სამხედრო საკრებულოში ნამდვილი ბაზარი იყო. მდიდრებს ქრთამით ათავისუფლებდნენ სამხედრო სამსახურისაგან ...

* * *

ბორისოგლებსკის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს ოსტატი ს. ტ. სამოხინი სახარატო მლარველ, ქანჩმჭრელ, შიგასახარატო და საზერხ ჩარხებს დაეუფლა, ისწავლა სამჭედლო სამუშაოს შესრულება. ამხ. სამოხინი თითოეულ ამ ჩარხზე გადამეტებით ასრულებს ნორმებს. მან შემოიტანა ათობით რაციონალიზატორული წინადადება. მისმა უკანასკნელმა გამოგონებამ შესაძლო გახადა კბილანას კბილების კუთხის ერთიორად დაჩქარება.

9 მარტის საღამოს ცნობა

9 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები ასუსტებდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ წინსვლას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

7 მარტს ჩამოგდებულია გერმანელთა არა 29 თვითმფრინავი, როგორც წინათ ვიუწყებოდით, არამედ 36 თვითმფრინავი.

8 მარტს საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებუ- ...

... 700-მდე გვამი დარჩა. ბრძოლაში თავი გამოიჩინა უფროსმა სერჟანტმა ამხ. გოჟენკომ. მან მოსპო გერმანელთა ტყვიამფრქვევის 2 გუნდი და ხელთ იგდო მათი ტყვიამფრქვევები.

* * *

მზვერავთა ჯგუფმა, უფროს ლეიტენანტ ... მეთაურობით, ...

... გერმანელებმა ამ ბრძოლაში 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 30 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, რთული ოპტიკური საარტილერიო ...

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება იმ პარტიზანებისა, რომლებმაც თავი ისახელეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ზურგში პარტიზანული ბრძოლის დროს

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ზურგში პარტიზანული ბრძოლის დროს გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით—პრასკოვია ანდრიას-ასული ზიმატოვა.

წითელი დროშის ორდენით—8 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით — 13 კაცი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — 14 კაცი.

მედლით „მამაცობისათვის“ — 16 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“—21 კაცი. (საქინფ).

ბრძოლა მაღლობისათვის

ფრონტი, 9 მარტი (საქინფის სპეც. კორესპონდენტისაგან). № ნაწილის მებრძოლებსა და მეთაურებს მიეცათ ამოცანა—განედევნათ გერმანელები მაღლობიდან, რომელიც სოლად იყო შემოჭრილი ჩვენი თავდაცვის სისტემაში და საუცხოო სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენდა. აქედან გერმანელი დამკორექტებელნი წარმართავდნენ თავიანთი შორსმსროლელი არტილერიის ცეცხლს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაღლობს გერმანელები რამდენიმე თვის განმავლობაში ამაგრებდნენ. მას გარს ერტყა მავთულიანი ღობეების სამი წყება, შემდეგ იწყებოდა დანაღმული არეები, თვით მაღლობზე განლაგებული ...

... ხელსაწყო, მრავალი შაშხანა და საომარი მასალა. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე პოლკის ნაღმსატყორცნი ბატარეა და ნაღმების სრული კომპლექტი. ეს ბატარეა ჩვენმა მებრძოლებმა დაუყოვნებლივ გამოიყენეს გაქცეული გერმანელების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ჩვენ წამოვიღეთ გერმანელთა მიერ ნაქურდალი ქონებისა და სურსათის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

მაღლობისათვის ბრძოლაში ბევრმა ჩვენმა მებრძოლმა, მეთაურმა და პოლიტმუშაკმა გამოიჩინა თავი, როგორც ნამდვილმა გმირმა. ძახილით — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ მაღლობზე პირველნი აიჭრნენ წი- ...

... 1 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და ჩაახშეს დაზგის ტყვიამფრქვევი. პოლიუგინმა—1 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და დაანგრია მიწური სიცეცხლე წერტი.

ა. ჩაგაძანი.
მ. ტუროვსკი.

ხალიჩები ფულისა და ნივთების ლატარიისათვის

ფულისა და ნივთების ლატარიისათვის განკუთვნილი ხალიჩების პირველი პარტია დამზადებულია აზნაბადის მხატვრულ-ექსპერიმენტული სახალიჩო სახელოსნოს მიერ. გამოშვებულია ახალ-თიქური ორნამენტის 10 ხალიჩა.

შრომითს მამაცობაში ფრონტის გმირებს ნუ ჩამოვრჩებით

ტრაქტორისტო ქალებო! ჩაებით სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

ორჯონიკიძის მხარის ტრაქტორისტ ქალთა მიმართვა

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო—საბჭოთა კავშირის ტრაქტორისტო ქალებო!

მძიმე დროს განიცდის ჩვენი საყვარელი სამშობლო. ჰიტლერელი ძაღლები თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს, მათ სურთ დაგვიმონონ, გაძარცონ ჩვენი სამშობლო ...

ქალიშვილები და ქალები, რომლებიც ტრაქტორისტის სპეციალობას დაეუფლნენ, ომამდე ჩვენს მხარეში დაახლოებით 3 ათასი იყო. საშამულო ომის პერიოდში ტრაქტორის საჭეს კიდევ 3 ათასზე მეტი საბჭოთა პატრიოტი ქალი მიუჯდა. ბევრმა მათ- ...

... შრომით მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობდეს.

... მარჯვებების ორგანიზატორს — მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

ორჯონიკიძის მხარის ტრაქტორისტ ქალთა დავალებით—ნოვო-ეგორლიკსკაიას, იპატოვის, კნიგინსკაიას, დივნოეს, ბუივოლინსკაიას, გრიგორიევსკაიას და ჯალგის მტს-ების ქალთა ბრიგადების ტრაქტორისტი ქალები: ნადეჟდა რიჟკოვა, ოლღა კატიუკოვა, ანა კასტრიუნინა, მარიამ სტრუნიკოვა, მარიამ აზაროვა, ა. ბოჟკოვა, პ. ჟილინა, მელანია ხოროლცოვა, კლავდია ხლისტუნოვა, ანა ტეტერბეკოვა, მარიამ ივახნენკო, უსტინია მაქსიმოვიჩი, ანასტასია კოსტიუკოვა, გალინა კოსტიუკოვა, ნადეჟდა ბელოგუროვა, ორდენოსანი სოროკინა, დარია შალაშინა, ნინო ლუკიანოვა, ალათია ორეხოვა, ალექსანდრა იაკიმოვა და სხვ.

მეტი ქვანახშირი ქვეყანას!

იზრდება ქვანახშირის ამოღების ტემპები

ტყვარჩელი („კომუნისტის“ კორ.). ტყვარჩელში ყოველდღიურად იზრდება ქვანახშირის ამოღების ტემპები. მეშახტეებმა განსაკუთრებით წარმატებით იმუშავეს 6 მარტს. ამ დღეს გეგმები გადამეტებით შეასრულა ნახშირის ამოღებაზე მომუშავე თითქმის ყველა ძირითადმა უბანმა. პირველმა უბანმა (უფროსი ამხ. სიგუა) 101 პროცენტით გაანაღდა სადღეღამისო დავალება, მესამე უბანმა ...

111 პროცენტით და მეშვიდე უბანმა (უფროსი ამხ. ლაზარენკო)—103 პროცენტით.

8 მარტის აღსანიშნავად შახტში სამუშაოდ გავიდნენ ტრესტის საანგარიშო დარგის მუშაკები კომკავშირელი ქალები ამხ. თამარ მაქსიმოვა, დუსია ტარანიკოვა, თამარ ბარანოვა და შურა კლიმენკო. მათ მეშვიდე უბანში შტრეკებიდან ქვანახშირის დატვირთვაზე იმუშავეს და 222.4 პროცენტით ...

8 მარტი ახალი მიღწევებით აღნიშნეს

... 8 მარტს ქვანახშირის გამდიდრებაზე მუშაობისას ლენინის სახელობის მაღაროში ე. კეხიის ბრიგადამ გეგმა შეასრულა 132 პროცენტით, ვ. კასპინსკაიას ბრიგადამ—126 პროცენტით, ხოლო მ. ქუქოვას ბრიგადამ — 138 პროცენტით. ...

... 8 მარტს სტალინის სახელობის მაღაროში ქვანახშირის ამოღების დარგში რამდენიმე ტონით გადააჭარბა წინა დღის მუშაობას. ... სამუშაოების გეგმა 177 პროცენტით შეასრულა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

8 მარტის დილის ცნობა

7-მარტის ღამის განმავლობაში ფრონტის მთელ რიგ უბნებზე საბჭოთა ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ორი დღის განმავლობაში გერმანელთა ჯარის ნაწილები, რომლებიც ღრმა ზურგიდან მოვიდნენ, ცდილობდნენ უკან დაებრუნებინათ საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებული დასახლებული პუნქტი ს. (დასავლეთის ფრონტი). მოწინააღმდეგის გააფთრებული კონტრიერიშები მისთვის მარცხით დამთავრდა. მარჯვე საარტილერიო და სატყვიამფრქვევო ცეცხლმა გერმანელები არაერთხელ აიძულა უკან დაეხიათ და ბრძოლის ველზე დაეტოვებინათ ასობით მოკლული. მესამე დღეს, დილით, ჩვენი მებრძოლები მტრისათვის მოულოდნელად იერიშზე გადავიდნენ, სწრაფი დარტყმით უკუაგდეს გერმანელები, დაიკავეს ორი დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს გერმანელთა 3 ტანკი, 9 ქვემეხი, 13 ტყვიამფრქვევი და 26 ავტომანქანა საომარი მასალიანად. მოწინააღმდეგემ 650-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით.

* * *

ჩვენმა ქვეგანაყოფმა ამხ. კოვალის მეთაურობით (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი) მოულოდნელი თავდასხმა მოახდინა სოფელ კ-ზე, სადაც გერმანელთა ქვეითები იყვნენ განლაგებულნი. ჰიტლერელებმა უწესრიგო სროლა ასტეხეს, უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს 60 მოკლული, 3 ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, 6.000 ვაზნა და სხვა ქონება. წამოყვანილია 14 ტყვე.

* * *

სასურსათო საწყობი. რაზმების ნადავლს შორის არის: 21 დაზგის ტყვიამფრქვევი, 2 ხელის ტყვიამფრქვევი, 15 ავტომანქანა, 2 საზიდარი შტაბის დოკუმენტებიანად, 2 ნაღმსატყორცნი, რევოლვერები, მრავალი ვაზნა და სხვა საჭურველი.

* * *

გერმანელთა 108-ე დივიზიის ტყვე ეფრეიტორმა, პოლონელმა ფრანც იაბლონსკიმ გვიამბო: „პოლონელებს არა სურთ იმსახურონ გერმანელთა ჯარში და იომონ რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენი ოცეულიდან უკანასკნელ ხანს 8 პოლონელი გაიქცა. მესამე ასეულში 22 წლის პოლონელმა ჯარისკაცმა, რომელიც სასოწარკვეთილებამდე იქნა მიყვანილი, თავი მოიკლა. მეორე პოლონელი ჯარისკაცი ვოსტიცკი, რომელმაც თავის მოკვლა განიზრახა, დააპატიმრეს. რამდენიმე დღის შემდეგ სამხედრო-საველე სასამართლომ მას სიკვდილი მიუსაჯა. ამას წინათ ჩვენს ქვეგანაყოფში ასეთი ამბავი მოხდა: ლეიტენანტმა მარშალეკმა გააჩერა პოლონელი ჯარისკაცი ფრანც ლაშინსკი და გინება დაუწყო წესდების დარღვევისათვის. ლაშინსკიმ მოისმინა ლანძღვა და მუქარა, შემდეგ ხელი ჩაავლო ლეიტენანტს კისერში და რამდენჯერმე თავი ჩააკვრევინა თოვლში. ლაშინსკი დააპატიმრეს, დაკავებული იყო ორ კვირეს, შემდეგ გამოუშვეს გასამართლებამდე. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე ლეიტენანტმა მარშალეკმა თავისი ხელით დახვრიტა ლაშინსკი და კიდევ სამი პოლონელი ჯარისკაცი ალონზ მახულა, ედუარდ კოსადა და იუზეფ პაკული იმის გამო, რომ მათ საბრძოლველად წასვლაზე უარი სთქვეს.

* * *

8 მარტის საღამოს ცნობა

ჩვენი მებრძოლები წინ მიიწევენ

ფულისა და ნივთიერი ლატარეის ბილეთები მიღებულია

რომის პროცესი

ჟენევა, 7 მარტი (საკდესი). გუშინ შედგა რიომის სასამართლოს ღია სხდომა. სასამართლოს დარბაზში არა მარტო საზოგადოება და პრესის წარმომადგენლები, არამედ ოფიციალური სტენოგრაფისტებიც კი არ შეუშვეს. სასამართლოს შენობას გაძლიერებული პატრულები იცავდნენ. სასამართლომ განიხილა პირობები, რომლებშიც მიმდინარეობდა 1939 წლის 23 აგვისტოს თათბირი, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთის მთავრობის წევრები და სამხედრო ხელმძღვანელები. ამ თათბირზე განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პოზიცია უნდა დაეკავებინა საფრანგეთს პოლონეთზე გერმანიის თავდასხმასთან დაკავშირებით.

როგორც ჰავასის-ოფის სააგენტო იუწყება, სასამართლოს დახურულ სხდომაზე დალადიეს ბრალად დასდებენ იმას, რომ მან იცოდა საფრანგეთის საომარი მოუმზადებლობა, მაგრამ ეს აშკარად არ განაცხადა, და ამრიგად არ გააფრთხილა, რომ საფრანგეთი ომში არ ჩაბმულიყო. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, დალადიეს ბრალად სდებენ, რომ მან 1939 წელს ხელი შეუშალა საფრანგეთის კაპიტულაციას. „სასამართლოს ამ სხდომაზე, — ნათქვამია ჰავასის-ოფის ცნობაში, — შეიძლება ისეთი კითხვები დასვან, რომლებიც შესაძლოა სერიოზულ მხილებას გამოიწვევს". რიომის მოსამართლეებმა ამ მხილებათა შიშით ამჯობინეს სასამართლო სხდომა დახურულ კარებში მოეწყოთ.

სასამართლოს დარბაზიდან ბრალდებულნი ბურასოლის საპატიმროში გადაიყვანეს, სადაც ისინი შემდეგ სხდომამდე დარჩებიან, რომელიც 10 მარტს შესდგება.

სტოკჰოლმი, 7 მარტი (საკდესი). გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის" ბერლინელი კორესპონდენტი სწერს, რომ ბერლინში ძალიან გაჯავრებული არიან იმის გამო, რომ რიომის პროცესი, მისი ორგანიზატორების ნება-სურვილის წინააღმდეგ, არაწინასწარ დასახული გზით ვითარდება. გერმანია სულ უფრო-და-უფრო მკვახედ აკრიტიკებს რიომის პროცესს. ჰიტლერული გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" სარედაქციო წერილში კვლავ ილაშქრებს რიომის მოსამართლეთა წინააღმდეგ იმისათვის, რომ მათ ვერ შესძლეს დაეკმაყოფილებინათ ბერლინის სურვილები და პროცესის ცენტრად გაეხადნათ საკითხი იმის შესახებ, რომ ომის წარმოშობაში ვითომდა ბრალი მიუძღვის საფრანგეთს. „დალადიეს, — აღშფოთებას გამოსთქვამს გაზეთი, — ბრალად სდებენ არა იმას, რომ მან არ მიიღო ფიურერის წინადადება, არამედ იმისათვის ცუდ მომზადებას". გაზეთს სასამართლოს ასეთი მიმდინარეობა „უცნაურად" მიაჩნია და მუქარით აცხადებს, რომ თუ სასამართლო „შემდეგშიც მეორე ხარისხოვანი საკითხების განხილვას დასჯერდა", გერმანია ამას ჩასთვლის როგორც მისწრაფებას „მიჩქმალონ ისტორიული ფაქტები".

ირანის მოქალაქეთა სოლიდარობა სსრ კავშირთან

თეირანი, 8 მარტი (საკდესი). თეირანის საბჭოთა საკონსულოში ირანის მოქალაქეებისაგან მრავალი საჩუქარი შემოდის წითელი არმიის მებრძოლთათვის და წერილები, რომლებშიც გამოთქმულია მხურვალე თანაგრძნობა ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ წითელი არმიის ბრძოლისადმი.

ვერცხლის მუნდშტუკს და სიგარეტებს. გისურვებთ ურტყათ მტერს მის სრულ განადგურებამდე".

ერთი ირანელი იურისტი სწერს: „სსრ კავშირისადმი ჩემი გულწრფელი თანაგრძნობისა და საკავშირო ხელშეკრულების დიდების ...

დროებით ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობის სიძულვილი ოკუპანტებისადმი

პოლიტიკური მანევრირება ბერლინში

ომი წყნარ ოკეანეში

(დამატებითი მიმოხილვა)

საზღვარგარეთ

ინგლისის მთავრობამ გამოსცა ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტები გერმანელ ფაშისტთა მხეცობის შესახებ

ლონდონი, 6 მარტი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ინგლისის მთავრობამ ცალკე ბროშურად გამოსცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის მიერ გერმანელ ფაშისტთა მხეცობის შესახებ ყველა იმ ქვეყნის მთავრობებისათვის გაგზავნილი ნოტები, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს. ბროშურაში გამოქვეყნებულია ვ. მ. მოლოტოვის 1941 წლის 26 ნოემბრის ნოტა „საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ გერმანიის ხელისუფალთა აღმაშფოთებელი მხეცური მოპყრობის შესახებ" და ვ. მ. მოლოტოვის 1942 წლის 7 იანვრის ნოტა „გერმანელ ხელისუფალთა მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიებზე მათი საყოველთაო ძარცვის, მოსახლეობის აკლებისა და ..."

ინგლისის მთავრობის მიერ ამ ნოტების გამოცემის შესახებ გამოქვეყნებულ ცნობაში ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ეს ნოტები „უდავო ფაქტების საფუძველზე მარტივად და გულახდილად მოგვითხრობენ" იმ მხეცობისა და ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომლებსაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის მიმართ იჩენენ. „ადვილი გასაგებია რუსი ხალხის უსაზღვრო მრისხანება", — ნათქვამია ინფორმაციის სამინისტროს ცნობაში, რომელიც შემდეგ აღნიშნავს, რომ „საბჭოთა მთავრობა ამ ბოროტმოქმედებისათვის მთელ პასუხისმგებლობას ჰიტლერის გერმანიის მთავრობას აკისრებს".

აჯანყება გერმანიის 81-ე დივიზიაში

ლონდონი, 9 მარტი (საკდესი). გაზეთი „დეილი ექსპრესი" იუწყება, რომ გერმანიის 81-ე დივიზიაში, რომელიც ამას წინათ საფრანგეთიდან გადაიყვანეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, მთელი რიგი სერიოზული ომისსაწინააღმდეგო გამოსვლები მოხდა. პირველი სერიოზული გამოსვლა დივიზიაში მაშინ მოხდა, როცა იგი მულენში იდგა, პარიზიდან 25 მილზე. ჯერ კიდევ მაშინ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. როცა მოვიდა ბრძანება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დივიზიის გაგზავნის შესახებ, ჯარისკაცებმა ნამდვილი აჯანყება მოაწყეს. ამ დივიზიის 100-ზე მეტი ჯარისკაცი ფრონტზე წასვლაზე უარის თქმისათვის დახვრეტილ იქნა გერმანელთა ყაზარმებში, შონ-ვალერიენში.

მადლობა საქართველოს რეგედასელებს

საქართველოს რეგედასმა მუშურ-გლეხური წითელი არმიის 24 წლისთავთან დაკავშირებით საჩუქრები გაუგზავნა შავი ზღვის ფლოტის მებრძოლებს. საჩუქრებმა მეზღვაურთა დიდი სიხარული გამოიწვია. თავიანთ წერილში ისინი ულოცავენ მადლობას უთვლიან საქართველოს ...

მხურვალე მებრძოლურ სალამს შვიდი საქართველოს რეგედასელებს.. გმადლობთ გულითადი მზრუნველობისათვის, რამაც ჩვენ აღგვაფრთოვანა ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად..

ძვირფასო ამხანაგებო! უფრო მჭიდრო ...

საქართველოს სსრ განსახკომში

ნეკროლოგი

პროფესორი

თეატრებში

ლექცია